



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

23 სექტემბერი 2025



N 541/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „რუსთავის აზოტის“ (ს/კ 404519794) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ-სააგენტო) 2025 წლის 4 ივნისს (წერილი N5557) წარმოდგენილი იქნა ქ. რუსთავში, ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში (შემდგომ - გზშ) და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (305/ს; 13/06/2025), შესაბამისი უწყებების ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს „გამა კონსალტინგის“ მიერ.

2021 წლის 19 თებერვალს სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა; სახიფათო ნარჩენების ინსინერაცია; ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა) გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-224).

2024 წლის 10 ოქტომბერს სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (დაბალი სიმკვრივის ამონიუმის გვარჯილას გრანულაციის საწარმოო ხაზის მოწყობა და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტის გაფართოება) გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №581/ს), რომლის საფუძველზეც საქმიანობა (დაგეგმილი ცვლილება) არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

2024 წლის 7 ოქტომბერს, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სააგენტოში სს „რუსთავის აზოტის“ მიერ წარმოდგენილი იყო ქ. რუსთავში ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N67; ბრძანება N714/ს, 19/12/2024).

სკოპინგის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე (წერილი N21/7986) სს „რუსთავის აზოტის“ მიერ 2025 წლის 2 სექტემბერს წარმოდგენილი

იქნა პროექტთან დაკავშირებული დამატებითი/დაზუსტებული ინფორმაცია (წერილი N8478), რომელიც ეხებოდა ნარჩენების მართვის, გაფილტრული წყლის (ფილტრატი) ხარჯის მაჩვენებლის, ავტოგასამართი სადგურიდან ნახშირწყალბადების გაფრქვევების და სხვა საკითხებს. ასევე წარმოდგენილი იქნა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამუშავებული პროექტი. ზემოაღნიშნული საკითხები განხილული იქნა საექსპერტო კომისიის მიერ (ბრძანება N472/ს/ს; 03/09/2025). დამატებით წარმოდგენილი ინფორმაცია ასევე განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და დაინტერესებული საზოგადოებისთვის განისაზღვრა შენიშვნების წარმოდგენის ვადები.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2024 წლის 27 ნოემბერს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა ქ. რუსთავში განთავსებული სს „რუსთავის აზოტის“ (ს/კ 404519794) კუთვნილი ქიმიური საწარმოს ინსპექტირება და დადგინდა, რომ სს „რუსთავის აზოტის“ მიერ განხორციელებულია დაგეგმილი საქმიანობით გათვალისწინებული ცვლილება, კერძოდ, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ურბანული-ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა. ინსპექტირებით დადგინდა, რომ რკინა-ბეტონით მოპირკეთებულ ზედაპირზე დამონტაჟებულია სამი ერთეული პლასტმასის ავზი, მოწყობილია მილგაყვანილობა და საკანალიზაციო შემაჯდომარე სისტემა, ასევე მიმდინარეობდა გამწმენდი დანადგარის მონტაჟის პროცესი. ასევე, ამიაკის სინთეზის საამქროსთან მიმდინარეობდა 2.03 მგ/ტ. დადგმული სიმძლავრის ორთქლის ტურბინის დასამონტაჟებლად ფუნდამენტის რკინა-ბეტონით მოწყობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის 3 დეკემბერს, სს „რუსთავის აზოტის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №091157 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით გადაეგზავნება ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება, რომლის დროსაც გამოვლინდა, რომ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ნაწილი უკვე განხორციელებულია. ამასთან, სააგენტოში გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივას“ მიერ წარმოდგენილ იქნა წერილობით შენიშვნები და მოსაზრებები (წერილი N7336), რომლის მიხედვით, ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს მისი ექსპლუატაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით, შემდგომი რეაგირების მიზნით ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმო განთავსებულია ქ. რუსთავში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, 1 952 657 მ² ფართობის ტერიტორიაზე და მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს (ს/კ: 02.07.01.887; 02.07.01.414; 02.07.01.308). უახლოესი საცხოვრებელი სახლი (სოფ. თაზაქენდი) საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია 1740 მ-ით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) გაედინება 3 კმ-ში, ხოლო მარის არხი (სამელიორაციო არხი) - 400 მეტრში. უახლოესი საავტომობილო გზა (გამარჯვება-რუსთავი-ჯანდარა) მდებარეობს 550 მეტრში. ქიმიური საწარმო ფუნქციონირებს უწყვეტ რეჟიმში და საწარმოში დასაქმებულია 2 300-ზე მეტი ადამიანი. საწარმოს ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრება სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვის მქონე ობიექტები (შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯია“; შპს „ვირტუოზი“ და სხვ.).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე მდებარეობს როგორც მოქმედი, ასევე გაუქმებული საამქროების შენობა-ნაგებობები. მოქმედი საამქროები შედგება როგორც ძირითადი ტექნოლოგიური ხაზებისგან, ასევე დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტებისგან, რომელთა გარემოცვა საწარმოში ტექნოლოგიური პროცესების წარმართვა შეუძლებელია. ქიმიურ საწარმოში დღეისთვის

ფუნქციონირებს: ამიაკის საამქრო, რომელშიც მიმდინარეობს ამიაკის სინთეზი; სიცივის საამქრო, რომელშიც მიმდინარეობს აორთქლებული ამიაკის დაკონდენსირება, დასაწყობება და მომხმარებელზე გაცემა, ასევე, ამიაკის წყლის მიღება; აზოტმჟავას საამქრო; ამონიუმის გვარჯილას საამქრო; კაპროლაქტამის საამქრო, რომელშიც დღეის მდგომარეობით შეწყვეტილია კაპროლაქტამის წარმოება, თუმცა ნედლი ლაქტამის განყოფილებაში მიმდინარეობს ციანმარილებში მიღებული არანაკლებ 30 %-იანი ამონიუმის სულფატის ნეიტრალიზაცია და შემდეგ, ამონიუმის სულფატის განყოფილებაში ამონიუმის სულფატის მიღება. გარდა ამისა, ჰიდროქსილამინოსულფატის განყოფილებაში ხდება მაგნეზიტის წყალ-ხსნარის წარმოება. ციანმარილების საამქრო; ორთქლის წარმოების საამქრო და ორთქლმომარაგების საამქრო.

წარმოდგენილი დამატებითი დოკუმენტაციის მიხედვით, კაპროლაქტამის საამქროში არსებული სპილენძის სულფატის (შაბიამანი) კრისტალჰიდრატის წარმოება ამჟამად გაჩერებულია და შესაბამისად, ყველა დაბინძურების წყარო (სპილენძის სადნობი ღუმელი; შუალედურ საცავში გოგირდმჟავას ჩატვირთვა; შუალედურ საცავში აზოტმჟავას ჩატვირთვა; შაბიამნის წარმოების რეაქტორი; შაბიამნის ტომრებში დაფასობა), რომლებიც ემსახურებოდნენ ტექნოლოგიური პროცესების წარმართვას, არ ფუნქციონირებენ.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ძირითადი საამქროების ფუნქციონირების მიზნით ტერიტორიაზე განთავსებულია დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტები, მათ შორის: ჟანგბადის საამქრო; ზეთების მეურნეობა; ზეთების გაფილტვრის და რეგენერაციის პუნქტი; კონდენსაციური ელექტროსადგური; მოწყობილობების სპეც-შემკეთებელი საამქრო; სარემონტო-მექანიკური საამქრო; სამეურნეო საამქრო; სარემონტო-სამშენებლო-სამეურნეო საამქრო, სადაც შედის სპეც.ტანსაცმლის სამრეცხაო უბანი; ელ. შემკეთებელი საამქრო; ელ. მომარაგების საამქრო; წყალმომარაგების საამქრო; საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილება, რკინიგზის საამქრო; რკინიგზის ვაგონების სამრეცხაო უბანი; საზომ-საკონტროლო ხელსაწყოების და ავტომატიზაციის საამქრო; ავტოსატრანსპორტო, საწვავის ავტოგასამართი სადგური; გაზგასამართი სადგური; შემკეთებელ-სამშენებლო საამქრო; ანტიკოროზიული საამქრო; პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ტომრების ნარჩენების გადამამუშავებელი და ტარა-შესაფუთი მასალების წარმოების საამქრო; საწარმოში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების 2 ობიექტი, სადაც შესაძლებელია 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის განთავსება; საწარმოში წარმოქმნილი ინერტული ნარჩენების ნაგავსაყრელი; 50 ტონამდე არასახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტი; ღია ტიპის სასაწყობე მეურნეობა, სადაც განთავსებულია სხვადასხვა არაგაბარიტული დანადგარები; სასაწყობე მეურნეობა; გვარჯილას ღია სასაწყობე მოედნები; მზა პროდუქციის გაყიდვის უბანი; მშრალი ყინულის განყოფილება; ჟანგბადითა და აზოტით ბალონების შევსების უბანი და ა.შ. სს „რუსთავის აზოტს“ ასევე გააჩნია ტექნიკური წყლის დამუშავების პროცესში წარმოქმნილი შლამის შემკრები უბანი, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რეგიონში, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე და საწარმოში წარმოქმნილი შლამები გარდაბნის შლამ-შემკრებში იტუმბება სპეციალური ტუმბოებისა და მილსადენების საშუალებით.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საწარმოს ძირითადი პროდუქცია ამონიუმის ნიტრატია. გარდა ამისა, საწარმო აწარმოებს ნატრიუმის ციანიდს, ამონიუმის სულფატს, აზოტმჟავას, თხევად ჟანგბადს, აირად ნახშირორჟანგს, თხევად აზოტს, მშრალ ყინულს და აირად აზოტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საწარმოო და ურბანული (საყოფაცხოვრებო) ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების და საწარმოს დამატებითი ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით, დაგეგმილია 2.03 მგვტ დადგმული სიმძლავრის ორთქლის ტურბინის მოწყობა.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ქიმიური საწარმოს ელექტროენერგიით მომარაგება ხდება ტერიტორიაზე არსებული ორი 110 კვ ძაბვის ქვესადგურიდან, რომლებიც ჩართულია ქვეყნის ელექტროსისტემაში. გარდა აღნიშნულისა, საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს კონდენსაციური მცირე ელექტროსადგური. საწარმოს ელექტროენერგიით მომარაგების მიზნით მოწყობილია 110 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი 220 კვ ძაბვის ქ/ს „რუსთავი 220“-დან ქიმიური საწარმოს 110 კვ ძაბვის ქვესადგურამდე (ბრძანება N588/ს; 16/10/2024).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2.03 მგვტ დადგმული სიმძლავრის კონდენსაციური ელექტროსადგურის მოწყობა გათვალისწინებულია ამიაკის საამქროში წარმოქმნილი მაღალწნევიანი ორთქლის გამოყენებით, რომლის მიზანია ამიაკის საამქროში წარმოქმნილი ორთქლის ენერგიის აღდგენა ორთქლის ტურბინის გამოყენებით და მისი ელექტროენერგიად გარდაქმნა. ორთქლის ტურბინა-გენერატორი და სხვა საჭირო აღჭურვილობა მოეწყობა ამიაკის N1 საამქროს მიმდებარედ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე, 253 მ² ფართობის რკინა-ბეტონის შენობაში, რომელიც წარმოდგენს თანამედროვე ტიპის სადგურს და მისი კომპლექსური სტრუქტურა შედგება სამანქანო დარბაზისა და ელექტროტექნიკური მოწყობილობების განთავსებისთვის განკუთვნილი სათავსისგან. შენობის ფარგლებში გათვალისწინებულია 10-ტონიანი ტვირთამწეობის მოძრავი სატვირთო ამავე სისტემის მოწყობა. ორთქლის ტურბინის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ჩართვა მოხდება ქიმიური საწარმოს ელექტროქსელში. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობა ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მოწყობას არ ითვალისწინებს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამომუშავებული ელექტროენერგია გამოყენებული იქნება ქიმიური საწარმოს მიერ, რაც გარკვეულად შეამცირებს ქვეყნის ელექტროსისტემიდან მიღებული ელექტროენერგიის რაოდენობას და ორთქლის ტურბინაში გამოყენების შემდეგ, ნამუშევარი ორთქლის გამოყენება მოხდება სხვა საამქროებშიც, საჭიროებისამებრ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქიმიურ საწარმოს საწარმო-სანიაღვრე წყლების გაწმენდისთვის ერთიანი გამწმენდი ნაგებობა არ გააჩნია და ჩამდინარე წყლების ნაწილის გაწმენდა ხდება ცალკეულ საამქროებთან არსებული ლოკალური სალექარების და ნავთობდამჭერების საშუალებით, რის შემდეგაც ჩაშვება ხდება ქ. რუსთავის კანალიზაციის სისტემაში.

ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში ქიმიური საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე დაგეგმილია 218 მ³/სთ წარმადობის საწარმო-სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი/აღმდგენი ნაგებობის მოწყობა, სადაც ჩართული იქნება საწარმოს ყველა საამქროს ტერიტორიაზე წარმოქმნილი საწარმოო და დაბინძურებული სანიაღვრე ჩამდინარე წყლები. გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის დაგეგმილი შენობა იქნება ერთსართულიანი, საერთო ფართობით 2176 მ² და ნაგებობა გათვლილია დღე-ღამეში 22 სთ-იანი მუშაობისთვის. ყოველდღიურად დამატებით 2 საათი გამოყოფილი იქნება ტექნიკური მომსახურებისთვის. 22-საათიანი მუშაობის შედეგად გაწმენდილი იქნება 4800 მ³/დღეღამური მოცულობის წყალი. საპროექტო ნაგებობას შეუძლია 24 საათის განმავლობაში ოპერირებაც (თუ ტექ.მომსახურება არ იქნება საჭირო) და ამ შემთხვევაში ნაგებობის მაქსიმალური წარმადობა შეადგენს 5232 მ³/დღეღამეში. ნაგებობაში გაწმენდილი წყალი იქნება ტექნოლოგიური წყალი, რომელიც დაბრუნდება საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში. ნაგებობის შემადგენლობაში გათვალისწინებულია შემდეგი აღჭურვილობის მოწყობა: გამთანაბრებელი ავზი; საქლორატორო; სისტემაში ჩამდინარე წყლების მიწოდების ტუმბოები; დაწნევითი ფლოტაციის სისტემა (DAF); ულტრაფილტრაციის სისტემა (UF) (UF სისტემისთვის წყლის მიმწოდი ტუმბოები; კოაგულანტის სადოზატორო; კოაგულანტის საკონტაქტო ავზები; მექანიკური ფილტრი; ულტრაფილტრაციის ბლოკი; ულტრაფილტრაციის უკურეცხვის ტუმბო; ქიმიური წმენდის (CEB) ბლოკი; ადგილზე რეცხვის (CIP) ბლოკი; გაფილტრული წყლის ავზი; უკუოსმოსის სისტემა (RO) (ბუსტერ-ტუმბო; მჟავის სადოზატორო; მეტაბისულფიტის სადოზატორო ანტისკალანტის სადოზატორო; მაღალწნევიანი ტუმბოები;

უკუოსმოსის ბლოკი; ადგილზე რეცხვის (CIP) და გამორეცხვის ბლოკი; ფილტრატის ავზი; დეგაზატორი; (სამმაგი შერეული მოქმედების ფილტრი (MB); შერეული ფენის (MB) ფილტრის მიწოდების ტუმბოები; გამოყენებული რეაგენტების სადოზატორო; შერეული ფენის სვეტები; რეგენერაციის ბლოკი); გაწმენდილი წყლის ავზი; გაწმენდილი წყლის ტუმბოები; დაბრუნებული/ნარჩენი წყლის ავზი; ნარჩენი წყლის ტუმბოები; ნეიტრალიზაციის ავზი; ნეიტრალიზაციის ტუმბოები.

სატუმბო სადგურის დანიშნულებაა საწარმოს შიგნით არსებული სხვადასხვა საამქროდან შემომავალი ჩამდინარე წყლების შეკრება. აღნიშნული წყლები (302 მ³/სთ) გრავიტაციის ძალით შეგროვდება კოლექტორში. ტუმბოებისთვის განკუთვნილ სივრცეში გათვალისწინებულია სამი ერთნაირი, 200 მ³/სთ წარმადობის ტუმბოს დამონტაჟება, რომელთაგან ორი ტუმბო იმუშავებს ერთდროულად, ხოლო ერთი ტუმბო იქნება სათადარიგო, რათა უზრუნველყოს უწყვეტი ფუნქციონირება იმ შემთხვევაშიც, თუ რომელიმე მოქმედი ტუმბო მწყობრიდან გამოვა. ტუმბოების ფუნქციონირება იქნება ავტომატური და დარეგულირდება კოლექტორში წყლის დონის მიხედვით.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, კოლექტორიდან ჩამდინარე წყლები გადაიტუმბება საპროექტო გაწმენდი/აღმდგენი ნაგებობის (ETP) გამათანაბრებელ ავზში, რომელიც აღჭურვილი იქნება ნავთობდამკერი მოწყობილობით, ჩამდინარე წყლებისგან ნავთობპროდუქტების მოსაცილებლად. გამათანაბრებელ ავზში წყლის დეზინფექციისთვის დამატებული იქნება ნატრიუმის ჰიპოქლორიდი. გამათანაბრებელი ავზის შემდეგ, ჩამდინარე წყლები მიეწოდება პნევმატური ფლოტაციის ბლოკს, ნავთობპროდუქტების და ცხიმის მოცილების მიზნით. პნევმატური ფლოტაციის სისტემა მაღალი ეფექტურობით მოახდენს წყლისა და ნავთობპროდუქტების განცალკევებას, უკუოსმოსის მემბრანების დაცვის მიზნით. პნევმატური ფლოტაციის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლები მიეწოდება ულტრაფილტრაციის სისტემას, რომელიც წარმოადგენს შეწონილი ნაწილაკების, ტურბულენტობის, მიკროორგანიზმების, ბაქტერიებისა და ვირუსების მოცილების საუკეთესო და უსაფრთხო ტექნოლოგიას. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ჩამდინარე წყლების აღმდგენ ნაგებობას ექნება ულტრაფილტრაციის სისტემის ორი ხაზი და უკუოსმოსის სისტემის ორი ხაზი, საშუალო შემომავალი ხარჯით - 151 მ³/სთ-ს ოდენობით. ულტრაფილტრაციის სისტემამდე (აღდგენის მაჩვენებელით 91.9%) დაპროექტებულია მექანიკური ფილტრი და თითოეული ხაზიდან გაფილტრული წყლის სუფთა რაოდენობა შეადგენს 139 მ³/სთ-ს, ხოლო ორივე ხაზიდან ერთად სუფთა რაოდენობა - 278 მ³/სთ-ს. გაფილტრული წყალი მიეწოდება გაფილტრული წყლის 150 მ³ მოცულობის ავზს და განკუთვნილია ულტრაფილტრაციის სისტემის უკურეცხვის წყლის და უკუოსმოსის სისტემისთვის მისაწოდებელი წყლის უზრუნველსაყოფად. ულტრაფილტრაციის სისტემის ბოლოს განთავსდება უკუგამორეცხვის ტუმბო და ქიმიური გაფართოებული უკუგამორეცხვის ბლოკი. ქიმიური წმენდის წყალი მიეწოდება ნარჩენი წყლის ავზს და იქედან გადაიქაჩება ქიმიური საწარმოს შლამშეკრებში. წინასწარი ფილტრაციის შემდეგ წყალი გადაეწოდება უკუოსმოსის სისტემას. უკუოსმოსის სისტემიდან გამოსული ფილტრატი (გაფილტრული წყალი) შემდეგ მიეწოდება შერეული ფენის სისტემას, მაღალი ხარისხის გაწმენდილი წყლის უზრუნველსაყოფად. უკუოსმოსის სისტემაში გაწმენდილი წყალი გაივლის დეგაზაციის სამ სვეტს, საიდანაც ჩაედინება გაფილტრული წყლის ავზში. დეგაზაციის სვეტებიდან ორი განკუთვნილია ოპერირებისთვის, ხოლო ერთი რეგენერაციისთვის ან სარეზერვოდ. თითოეულ რეზინის სვეტს მიეწოდება 110 მ³/სთ წყალი, საიდანაც მიიღება გაფილტრული წყლის სუფთა ხარჯი - 109 მ³/სთ, ორი სვეტის დახმარებით - 218 მ³/სთ, 22 სთ-ში საერთო ჯამში - 4 796 მ³ წყალი. გაწმენდილი წყალი მიეწოდება გაწმენდილი წყლის საბოლოო ავზს. შერეული ფენის სისტემის ბოლოს განთავსდება რეგენერაციის ბლოკი. უკუოსმოსის ნარჩენი წყლის, ასევე რეგენერაციის წყლისთვის გათვალისწინებულია 50 მ³ მოცულობის ავზი, რომელშიც შეგროვებული წყალი გადაიტუმბება ქიმიური საწარმოს არსებულ შლამშეკრებში.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ულტრაფილტრაციის და უკუოსმოსის სისტემების ოპერირების უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია მართვის ელექტრული პანელი. სისტემის მართვა ასევე შესაძლებელია ხელით. ნაგებობისთვის საჭირო მილსადენები და დეტალები დამზადებული იქნება UPVC (არაპლასტიკური პოლივინილქლორიდი) და SS (უჟანგავი ფოლადის) გამოყენებით.

გზშ-ის ანგარიშში მოცემულია საპროექტო ნაგებობაში შემომავალი/მიწოდებული წყლის და პნევმატური ფლოტაციის, ულტრაფილტრაციის და უკუოსმოსის სისტემების გავლის შემდეგ გაწმენდილი წყლის ხარისხის მაჩვენებლები. როგორც აღინიშნა, საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული გაწმენდილი წყალი დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში და საწარმოო ჩამდინარე წყლების ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებას ადგილი აღარ ექნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები ჩართულია ქ. რუსთავის საკანალიზაციო სისტემაში, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, ქიმიური საწარმოს ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, 300 მ² ფართობის თავისუფალ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია კომპაქტური ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა, 100 მ³/დღ წარმადობით, საიდანაც მიღებული გაწმენდილი წყლის გამოყენება დაგეგმილია ტექნიკური დანიშნულებით (მწვანე ნარგავების და გაზონების მორწყვა, გზების ზედაპირების დასველება და სხვ.), ხოლო ნამეტი გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის კედლები, გადახურვა და ფილა წარმოდგენს ერთიან მონოლითურ კონსტრუქციას და ძირითადი ნაწილი განთავსებული იქნება მიწისქვეშ. ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაში ჩამდინარე წყლების შემოდინება მოხდება სამი სხვადასხვა მიწისქვეშა კოლექტორიდან, საიდანაც ჩამდინარე წყლები ტუმბოების მეშვეობით გადავა გამწმენდ ნაგებობაში, გადამუშავების და გაწმენდის მიზნით. ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, ჩამდინარე წყლების გაწმენდის პროცესი დაფუძნებულია აქტიური ლამის პრინციპზე. გამწმენდ დანადგარში ჩამდინარე წყლების მიღება ხდება გამათანაბრებელ ავზში (მოცულობა 60 მ³), რომელიც აღჭურვილია ნაგვის დამჭერი ცხაურით. ცხაური გათვალისწინებულია უხსნადი (ცელოფნის პარკები, ჩვრები და სხვა შეტივინარებული ნარჩენები) დამაბინძურებლების შესაკავებლად. გასაშუალებული და შეტივინარებული ნაწილაკებისგან გასუფთავებული წყალი მიეწოდება გამწმენდი დანადგარის სექციებს. კერძოდ, მოძრავი ფენის მქონე ბიოფირიან სექციაში თავისუფლად მოცირკულირე ბიომასის საშუალებით ხორციელდება იმ დამაბინძურებელი ნივთიერებების მოცილება, რომლებიც იწვევენ ჟანგბადზე ბიოქიმიური მოთხოვნის (BOD) ზრდას. გააქტიურებული ლამის სექცია წარმოდგენს ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის მეორე სექციას, სადაც ბაქტერიული კულტურა ახდენს ჩამდინარე წყლებში ორგანული ნივთიერებების ნახშირორჟანგად, ამიაკად და სხვა პროდუქტებად გარდაქმნას. სასედიმენტაციო სექციაში შერეული თხევადი მასა, შემომავალ ნაკადთან ერთად, აერაციის ავზიდან თვითდინებით გადადის სალექარში. სალექარი (სასედიმენტაციო) სექციის შემდეგ, გაწმენდილი წყალი შედის ფილტრის მომარაგების ავზში. ფილტრის მომარაგების ტუმბოების საშუალებით წყალი გადაიქაჩება ქვიშისა და გააქტიურებული ნახშირის ავტომატურ ფილტრში, რომელთა ოპერირება და კონტროლი ხორციელდება ავტომატური სარქველების საშუალებით. გაფილტრული წყალი მიდის გაფილტრული წყლის ავზებში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ზედმეტი ლამი სალექარიდან ავტომატურად მიეწოდება ლამის კონუსურ ავზში, საიდანაც ტუმბოს საშუალებით მიეწოდება პრესფილტრს. პრესფილტრიდან მიღებული გაუწყლოებული მასა განთავსდება სპეციალურ ჰერმეტიკულ კონტეინერებში და განთავსდება სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ობიექტზე, ხოლო წყალი ჩაშვებული იქნება გამწმენდი ნაგებობის გამათანაბრებელ რეზერვუარში. ანგარიშში მოცემულია ბიოლოგიური გამწმენდი ბლოკის ძირითადი პარამეტრები, ასევე ფილტრის და ლამის გაუწყლოების სისტემების საპროექტო კრიტერიუმები. გზშ-ის

ანგარიშის მიხედვით, ურბანული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობიდან მიღებული გაწმენდილი წყალი გამოყენებული იქნება ტექნიკური დანიშნულებით (მწვანე ნარგავების და გაზონების მოწყვლა, გზების ზედაპირების დასველება და სხვ.), ხოლო ნამეტი გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება ქალაქის საკანალიზაციო კოლექტორში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების ვადად განსაზღვრულია 1-1.5 წელი, წელიწადში 300 დღე, ორცვლიანი და 8-საათიანი სამუშაო რეჟიმით და გათვალისწინებულია 70-80 ადამიანის დასაქმება. სამუშაოების შესრულებისთვის გამოყენებული იქნება: ჩამჩიანი ექსკავატორი; ბულდოზერი; თვითმცლელი ავტომანქანა; მაღალი ტვირთამწეობის ავტომანქანა; ფრონტალური ავტოდამტვირთველი; მობილური ამწე; ბეტონმზიდი ავტომანქანა; გადასატანი კომპრესორი; შესადუღებელი აგრეგატი; ზედაპირული და სიღმითი ვიბრატორი.

საწარმოს ტერიტორიამდე არსებობს ასფალტირებული საავტომობილო გზა და სარკინიგზო ჩიხი. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისთვის დღის განმავლობაში დაგეგმილია 7-8 სატრანსპორტო ოპერაცია და საწარმოს მიზნებისთვის გამოყენებული იქნება გამარჯვება-რუსთავი-ჯანდარის საავტომობილო გზა, რომელიც დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით უკავშირდება საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზებს. ანგარიშის მიხედვით, საავტომობილო გზები და ასევე, საწარმოს შიდა გზები დამაკმაყოფილებელ ტექნიკურ მგომარეობაშია.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიებზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის და დაგეგმილი ცვლილებების განხორციელება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთან, ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს ტერიტორიის ფარგლებში და ახალი ტერიტორიების ათვისება მოსალოდნელი არ არის. ასევე არ არის გათვალისწინებული სამშენებლო ბანაკის მოწყობა. პროექტის მიზნებისთვის საჭირო სამშენებლო მასალების და დანადგარ-მოწყობილობის დასაწყობება მოხდება სამშენებლო მოედნების ფარგლებში. საძირკვლებისთვის თხრილების მომზადების დროს ამოღებული გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილების და ტერიტორიების გეგმარების მიზნით, ხოლო ნამეტი გრუნტის გატანა (1000-1100 მ³) მოხდება ქ. რუსთავის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე, შესაბამისად, ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა გათვალისწინებული არ არის. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო ბეტონის ხსნარის მიწოდება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ბეტონის კვანძიდან, ხოლო ბეტონის წარმოებისთვის საჭირო ინერტული მასალების შესყიდვა მოხდება სხვა კომპანიებისგან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს როგორც არასახიფათო, ისე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. საწარმოში წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენები გროვდება მათთვის განკუთვნილ კონტეინერებში და მათი საწარმოდან გატანას ახორციელებს ქ. რუსთავის დასუფთავების სამსახური, არასახიფათო ინერტული ნარჩენები თავსდება საწარმოს მიმდებარედ მოწყობილ პოლიგონზე და სახიფათო ნარჩენების გატანას ახორციელებს შესაბამისი რეგისტრაციის/ნებართვის მქონე ორგანიზაცია. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში ადგილი ექნება გარკვეული რაოდენობის სხვადასხვა სახის ინერტული, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. ექსპლუატაციის ფაზაზე წარმოქმნილი ნარჩენები, ქიმიური საწარმოს შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმაში ასახული ნარჩენების ნუსხისგან მნიშვნელოვნად შეცვლილი არ იქნება, ადგილი ექნება მხოლოდ „ურბანულ/დასახლებულ პუნქტებში ჩამდინარე წყლების გადამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნალექების“ (კოდით 19 08 05) წარმოქმნას. რაოდენობრივი

თვალსაზრისით კი მოსალოდნელია „აბსორბენტების, ფილტრის მასალების (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული „სხვა კატეგორიაში“), საწმენდი ნაჭრების და დამცავი ტანსაცმლის, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით“ (ნარჩენის კოდით 15 02 02*) რაოდენობის გაზრდა.

გარდა ამისა, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია არსებული, ამორტიზებული და გამოუყენებელი შენობა-ნაგებობების და დანადგარ-მოწყობილობის დემონტაჟი. დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ვარგისი სამშენებლო მასალები გამოყენებული იქნება მოდერნიზაციის პროექტის მიზნებისთვის, ხოლო დანარჩენი (წინასწარი გაანგარიშებით - 2.5-3.0 ათასი მ³) გატანილი იქნება ქ. რუსთავის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე. დემონტაჟის პროცესში წარმოქმნილი ლითონის ჯართი გადაეცემა სს „რუსთავის აზოტი“-ს ნარჩენების მართვის გეგმით განსაზღვრულ შესაბამის კომპანიას.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება როგორც სამრეწველო, ასევე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალმომარაგება ხორციელდება შპს „რუსთავის წყალთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით დაგეგმილი სამუშაოებისთვის, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და მტვრის გავრცელების პრევენციისთვის ჯამურად გამოყენებული წყლის რაოდენობა წლის განმავლობაში იქნება დაახლოებით 9 412 მ³/წელ, ხოლო სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა - 936 მ³/წელ.

ექსპლუატაციის ფაზაზე საწარმოო ჩამდინარე წყლების ქალაქის საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებას ადგილი არ ექნება, ხოლო ურბანული ჩამდინარე წყლები საკანალიზაციო სისტემაში ჩაშვებული იქნება მხოლოდ გაწმენდის შემდეგ. როგორც აღინიშნა, საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი/აღმდგენი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი შლამნარევი ჩამდინარე წყლების გადატუმბვა მოხდება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ს/კ 81.14.08.122), მდ. მტკვარის მარცხენა ნაპირზე არსებულ შლამშეკრებში (მოცულობა 4 000 000 მ³). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ქიმიურ საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების და ექსპლუატაციის პროცესში წყლის გარემოზე (როგორც ზედაპირულ, ასევე მიწისქვეშა წყლებზე) მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გრუნტების ვერტიკალური ჭრილების შესასწავლად ექსკავატორის გამოყენებით გაყვანილი იქნა 4 შურფი. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში გამოყოფილია ორი ფენა და მშენებლობისთვის გამოყოფილი მოედნის ამგებ გრუნტებში - 1 საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი - სგე 1(ფენა 2). გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით უბანი მიეკუთვნება II (საშუალო სირთულის) კატეგორიას. სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვ.) ჩასახვა-განვითარების კვალი არ აღინიშნება და არც მომავალშია მოსალოდნელი.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საველე კვლევის დროს საწარმოს ტერიტორიაზე გამოიყო EUNIS-ის კლასიფიკაციის 1 ჰაბიტატი (I განაშენიანებული, სამრეწველო ან სხვა ხელოვნური ჰაბიტატები). წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია მთლიანად შემოღობილია და ეზოს ფარგლებში ხდება ხელოვნურად გაშენებული კულტურული და დეკორატიული მცენარეები. ანგარიშის მიხედვით, ორთქლის ტურბინა-გენერატორის და გამწმენდი ნაგებობების განთავსების ტერიტორიებზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის და მათზე ზემოქმედებას მოსალოდნელი არ არის. ამასთან, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია ფაუნის სახეობრივი შემადგენლობის და მობინადრე ცხოველების შესახებ.

გზშ ანგარიშში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტში და გზშ-ის ანგარიშზე დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია ობიექტის ფუნქციონირებით გამოწვეული ზეგავლენა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, მისი უმთავრესი ასპექტების გათვალისწინებით. იდენტიფიცირებულია საწარმოს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად გამოიყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი ნივთიერებები: კადმიუმის ოქსიდი, სპილენძის სულფატი, სპილენძის ოქსიდი, ნიკელი, ვერცხლისწყალი, ტყვია, ქრომი, აზოტის ოქსიდები, აზოტმჟავა, ამიაკი, ამონიუმის ნიტრატი, ქლორწყალბადი (მარილმჟავა), ციანწყალბადმჟავა, გოგირდმჟავა, დარიშხანი, ჭვარტლი, გოგირდის დიოქსიდი, გოგირდწყალბადი, ნახშირბადის ოქსიდი, ამონიუმის სულფატი, მეთანი, ნაჯერი ნახშირწყალბადები (C1-C5, C6-C10 და C12-C19 ფრაქციები), ამილენები, ბენზოლი, ქსილოლები, ტოლუოლი, ეთილბენზოლი, ტრიქლორეთილენი, ნ-ბუტილის სპირტი, იზოპროპილის სპირტი, ეთილის სპირტი, ძმარმჟავა, მეთილმერკაპტანი, ეთილმერკაპტანი, შეწონილი ნაწილაკები, არაორგანული მტერის ცემენტის (70-20% SiO₂) ფრაქცია. გაზნევის ანგარიშის მიხედვით, რომელშიც ფონად გათვალისწინებულია გაფრქვევის მაჩვენებლები შპს „ემენ ქემიკალ ჯორჯიას“ და შპს „სულფეკოს“ ახლომდებარე საწარმოებიდან, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების, მათ შორის, ჯამური ზემოქმედების უნარის მქონე ნივთიერებების კონცენტრაცია არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას ობიექტიდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე და არც უახლოეს მოსახლესთან (1740 მ). შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევებად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროებია: კომპრესორები, სატუმბო მოწყობილობები, ცენტრალური სამართავი პულტები. გარდა ამისა, საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებულია შიდა სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი. საწარმოს ექსპლუატაციის და ფუნქციონირების შედეგად საანგარიშო წერტილში ხმაურის დონე შეადგენს 33 დბა-ს, რაც არ აჭარბებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი („საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“) დადგენილ ნორმირებულ დონეებს. გარდა ამისა, ანგარიშის მიხედვით, ხმაურის გავრცელების გაანგარიშება შესრულდა საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან და მხედველობაში არ იქნა მიღებული საამქროების შენობები და საწარმოს ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეული საფარი, რაც დაახლოებით 10-15 დბა-თი შეამცირებს მოსალოდნელი ხმაურის დონეს. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოო საამქროების ურთიერთდაცელების მანძილების და საცხოვრებელი ზონებიდან დაცილების მანძილის გათვალისწინებით, დაგეგმილი ცვლილებები საცხოვრებელი ზონების აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება. ანგარიშში წარმოდგენილია ხმაურის გავრცელების შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: უზრუნველყოფილი იქნება მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობა; ყოველი სამუშაო დღის დაწყებამდე შემოწმდება მანქანა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა; სატრანსპორტო საშუალებები და ტექნიკა, რომელთა ხმაურის დონე იქნება მაღალი (ტექნიკური გაუმართაობის გამო) სამუშაო უბნებზე არ დაიშვებიან; ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული იქნება მხოლოდ ქ. რუსთავის სამრეწველო ზონებში განთავსებული და ქ. რუსთავის შემოვლითი გზები და სხვ.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ვინაიდან სს „რუსთავის აზოტი“-ს ქიმიური საწარმოს მიმდებარე 500 მ-იანი ზონის ფარგლებში რაიმე სამშენებლო სამუშაოები ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში კუმულაციური ზემოქმედების რისკები მოსალოდნელი არ არის.

ამასთან, ვინაიდან საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ობიექტების სამშენებლო მოედნები განთავსებულია მაღალი ტექნოგენური დატვირთვის მქონე მიწის ნაკვეთებზე, სადაც ადრეულ წლებში განთავსებული იყო ქიმიური საწარმოს სხვადასხვა დანიშნულების საწარმოო შენობა-ნაგებობები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღმოჩენის რისკი მინიმალურია.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ცენტრის ყველა გამომწერისთვის დაგზავნა, ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიამ და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 22 ივლისს, ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „გამა კონსალტინგის“, სს „რუსთავის აზოტის“, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე ალტერნატივას“ და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები. საჯარო განხილვაზე ყურადღება გამახვილდა მოდერნიზაციის პროცესში დაგეგმილ სამუშაოებზე, კუმულაციურ ზემოქმედებაზე, სუნის გავრცელებაზე, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, დასაქმების საკითხებზე და ა.შ. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

გზშ-ის ანგარიშის განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს (წერილის N7336) მიერ. წერილობითი შენიშვნები ძირითადად ეხებოდა ალტერნატიულ ვარიანტებს, საწარმოში დაგეგმილ და განხორციელებულ სამუშაოებს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედებას, სუნის გავრცელების, კუმულაციური ზემოქმედების და სხვა საკითხებს. ზემოაღნიშნული საკითხები სს „რუსთავის აზოტი“-ს მიერ განხილული იქნა სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციაში (წერილი N8478). წარმოდგენილ შენიშვნებთან/მოსაზრებებთან დაკავშირებით შესაბამისი განმარტებები გადაწყვეტილებას თან ახლავს, ცხრილის სახით.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში, გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის 10.6 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ქ. რუსთავში, სს „რუსთავის აზოტის“ ქიმიური საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;

3. სს „რუსთავის აზოტი“ ვალდებულია:

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული და დამატებითი დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, სადაც ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), ასევე გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები, ობიექტიდან 500მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია და ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის X,Y კოორდინატები. გეგმაში ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს ინსტრუმენტული მონიტორინგის განხორციელება მავნე ნივთიერება აზოტის დიოქსიდ(NOx)-ზე და მტვერ(TSP)-ზე კვარტალში ერთხელ საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში (ტექნოლოგიური პროცესის მკაცრი კონტროლის მიხედვით) და შედეგების წელიწადში ერთხელ სააგენტოში წარმოდგენა. მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;

დ) ექსპლუატაციის ეტაპზე ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ე) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს გამწმენდი ნაგებობების და შიდა საკანალიზაციო კოლექტორების ტექნიკური გამართულობის კონტროლი;

ვ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ზ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „რუსთავის აზოტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „რუსთავის აზოტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და რუსთავისა მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/541-21-4-202509231801>

